



ეროვნული  
გიგლიოთიქა

გამოცემის № 54-ე წელი, № 1509.  
ივლისი. 1977. ფასი 20 კაპიკი.

# საქართველო



რა ნახა იმ  
სკლივივით  
ქალღი?!


აჰა!!

პირი ქა-  
ლი, შეუკვარი,  
ვახეთ გოკუ-  
ტიყური გავა-  
ხარაა ვენა-  
ვით ჩემო-  
ტენილი

ერთი კახიანი  
მოცა ნაშენის  
დასაუგებად!

ჭიჭიჩია  
ვაგი თუ ით  
სოვა, კიჩაუი  
ნაღდაქ აქ  
ღარჩუა!

გ.ბ. გ. ლომიძის



უსიტყვოდ

შს ამბავი მაშინ დაიწყო, როცა სტუმარი გვეწვია.

— თბილისის ზღვას თვითმფრინავიდან მოვკარი თვალი, ძალზე მომეწონა, კარგი მდებარეობა და მოხაზულობა აქვს! — აეროპორტშივე განაცხადა ჩვენმა სტუმარმა.

თბილისის ზღვის გახსენებაზე უსიამოვნო გრძობა დაგვეუფლა. ბევრი რამ გვექონდა გაგონილი კულტურული დასვენების ამ „ფეშენებელური“ კერის „კომფორტ-სერვისის“ შესახებ...

„თვითმფრინავიდან კი მოგეწონათ, ოღონდ ნავიდან როგორ მოგეწონებათ, არ ვიცით!“ — გავიფიქრეთ უნებლიეთ, მაგრამ რას ვიზამდით, სტუმრის სურვილი კანონია და ჩვენც უყოყმანოდ დავადექით თბილისის ზღვისკენ მიმავალ, არცთუ ისე ურიგო გზატკეცილს. ხუდადოვის ქუჩაზე, იქ, სადაც ზღვისკენ მიმავალი № 17 ავტობუსის გაჩერებაა, ხალხის ტრეა არ იყო.



ზოგი გზის სავალი ნაწილის ბარიერზეც კი იჯდა. კარგა ხანია, ალბათ, ავტობუსს არ გაეგლო. რამდენიმე მათგანმა ხელიც კი აგვიწია. სტუმარს ეგონა, მე მესალმებიანო და სიხარულისაგან სახე გაეხადრა.

მაღე თბილისის ზღვის ცენტრალურ სპორტულ ბაზას მივადექით. მაცდურად იწონებდნენ თავს იქვე წამოსკუებულები სამწვადე და ლუდის ჯიხური (მართლაც სპორტსმენის ნებისყოფა უნდა გქონდეს,

# სტუმარს არაფერი გაუბია.

რომ გვერდი აუარო მწვადის სუნი და ქორფა კიტრის არომიტი განზავებულ, ამ საეჭრო დაწვევებულებებიდან გამოფრქვეულ სურნელს).


ლუდის ჯიხურსა და სპორტული ბაზის შესასვლელს შორის გრანიტში გამოკვეთილი მოცურავის ქანდაკება წამოუჭიმავთ. ვიდაც „ოხუნჯ“ მოქეიფეს ძეგლის შემქმნელის თანაავტორობა განუზრახავს, აქაოდა, კუნთმავარი თუ არის, ღვინის სმაც ეყვარებაო და „შამპანურის“ ცარიელი ბოთლი გაუჩრია მისთვის ილიაში.

სტუმარი ძეგლთან შეჩერდა და შთაგონებული ტონით ჩაილაპარაკა: ბახუსის კულტის ქანდაკება თვით ბერძნებსაც კი არ გადაუჭრიათ ასეთი წარმატებითო. კომპლიმენტი ძეგლის ავტორს ეკუთვნოდა, თუ ბოთლისას, ძნელი დასადგენი იყო.

ზღვაში შეჭრილი ნახევარი წრის ერთი მესამედი რობინზონ კრუსოს უკაცრიელი კუნძულივით გამოიყურებოდა: პირქუში, კეთილმოუწყობელი და ყველასაგან მიტოვებული (თუმცა, ყველასაგან მიტოვებული რატომ! აქ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, გვხვდება სამწვადე).

— აქვე საქალაქო პლაჟიაო, — გვითხრეს. ამას რა თქმა უნდოდა, თვითონაც დავინახეთ ზღვაში მობანავენი და ნავით მოსეირნენი. უგზოობა, უსუფთაობა, უხერხულობა, ამკრძალავი, მაჩვენებელი ნიშნე-

ბი (თუმცა, გულით რომ გინდოდეს, ერთ გასახდელს ვერ იბოვი). ერთმანეთში არეულა „პლაჟზე“ მიმოზნეული ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელების ბოთლთა ნამსხვრევები, საცობები და სხვადასხვა მარკის ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები (კიდევ იტყვიან, მანქანების ნაწილები დეფიციტიაო?). არჩევანი თქვენზეა, რომელი ბოთლის ნატეხზე ისურვებთ, ფე-



ხის გაჭრას, ან ავტომანქანის რომელ ნაწილზე მოიტეხავთ კისერს!

ნავი № 20 ავირჩიეთ, ჩავსხედით და ზღვაში ლაღად შეეცურდით. სტუმარი უცხო გარემოში თავს შესანიშნავად გრძობდა. საზეიმო განწყობილებასთან და ურთიერთგაგებასთან ერთად ნავში წყალმაც იმატა... წყალმყენებულები ქართული სტუმარმასპინძლობის მამაპაპურ ტრადიციებზე ვლაპარაკობდით...

ნახევარსაათიანი „ნაოსნობა“, 25 კაპიკის ნაცვლად 1 მანეთი და 50 კაპიკი დაგვიჯდა.

თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკის პლაჟის ფილიალის ნაგების გამჭირავებელი პუნქტის თანამშრომლებს ყოველგვარ ელემენტარულ პასუხისმგებლობაზე ხელი აუდოდათ: უფროს მენეჯერს, ა. გ. გვენცაძეს, ნაგების გაჭირავება მოგზურებია, თავისი სკამი, სალარო, ბილეთები და ნავ-ნიჩბები კარუსელზე მომუშავე ი. გ. ხუციშვილისათვის ჩაუბარებია. აქ



სათაური, ვიცი, მკითხველს  
გაოცებს ერთი წამით,  
ტუჩის ღიმილით გადაიხვეს,  
ლექს ჩამარცვლავს ძალისძალით!..

რაო, ვითომ? — სიტყვის ნერვის  
გაზრდაც მკითხველს ავალა?! —  
გ ა ო თ ხ ე ზ ა გ ა ო რ ე ბ ი ს  
ნუთუ, ორზე ნამრავლია?

ნუ დავგვალე ქადავითო! —  
თავს წამოპყფს ზოგი ყინჩად! —  
ატომივით კაციც ვითომ  
გადიპო და გადიხლიჩა?

რალა ვითომ.. იცნობთ რამდენს, ---  
გაორება არ იკმარა:  
აქ კაკანებს, იქ კვერცხსა დებს,  
იქ წვიმს, იქ კი გადიკარა.


შენთან კაცს რომ უთხრის მიწას,  
სხვასთან მის ლანდს, სახელს ფიცავს!

გადაგოცნის, მაგრამ იმ წამს  
გაგირანდავს კუბოს ფიცარს!  
წარმოგიდგენს მავანს უცბად:  
„სადარია თავად მზისო!“  
გაისტუმრებს, ჰკენწლავს ურცხვად:  
„ეგ ხომ კაცი არ არისო!“  
ცად მისწვდება, არ ასცდება,  
დაანარცხებს ძირს გენიოსს!  
სიტყვა ისე არ დასცდება,  
შხამი რომ არ გაერიოს!  
რისი ლარი, რისი ხაზი?  
როდი ელის მოსვლას მუხის!  
აქვს ერთ კაცზე სის აზრი, —  
ასაფრენად კერზე უხის!

P. S.

რაკი გილირს ჯაფად, ოფლად  
ეგ ნიღბები... მიდი, ზიდი!  
ორი ფეხი არც გეყოფა, —  
ოთხზე უნდა გადახვიდე!

ზაზა კაციაშვილი



უსიტყვოდ

მკითხველმა გაბვიგოს!

ყველაფერი არეულია, მხოლოდ ფასების  
„კალკულაციაში“ იგრძნობა იდეალური  
წესრიგი: მანეთზე ნაკლებად ვერცერთ ნავს  
ვერ დაიქირავებ, მეტად კი, რამდენიც გენე-  
ბოთ! ეს დამოკიდებულია კლიენტის ჯიბე-  
სა და გულუხვობაზე... მენაგეთა და კარუ-  
სელთუხუცესი, როგორც გვითხრეს, ა. გ. აბ-  
უთიძე ყოფილა, მაგრამ თურმე მასზე  
ზღვის ჰაერი უარყოფითად მოქმედებს და  
ადგილზე არ აღმოჩნდა. ზემოჩამოთვლილ  
პირთაგან პირადობის მოწმობა, ან რაიმე  
საბუთი არავის აღმოაჩნდა.

— „მაროჟნი“! — ამ ჩასლენილმა  
ხმამ ნაყინისმოყვარული ბავშვები გარს  
შემოიხვია. განაწყენებულებს გახურებული  
გულების გაგრილება მოგვინდა. ბავშვებში  
საფრთხობელასავით ჩამდგარმა, წვერგაუ-  
პარსავმა, პირდაუბანელმა პავლე ბუდაგო-  
ვმა ოცკაპიკიანი ნაყინი 25 კაპიკად შემო-  
გვაჩეჩა; სიტყვა „ფაქტურა“ ეუცხოვა. და-  
ჟინებით მოთხოვნაზე პავლიონისკენ მიგ-  
ვითითა. საჩვენებელი რესტორნების ტრეს-  
ტის რესტორან „იორის“ № 6 პავლიონის  
უფროს მებუფეტეს გ. ვ. ახვლედიანს ნაყი-  
ნის ფაქტურის, საკონტროლო ჟურნალისა  
და საჩივრის წიგნის პოვნაში კომისარ მეგ-  
რესავით დავეხმარეთ. ამავე ფილიალის  
გამყიდველი მარგალიტა მარტოძე, მარ-  
ტოდმარტო იდგა გზის პირას და უფაქტუ-  
რო ნაყინს მარგალიტივით ბავშვიებზე ასა-

ღებდა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ  
ჩვენს დანახვაზე მარგალიტამ დაუწერელი  
კანონი დაარღვია და 25 კაპიკად გასაყიდი  
ნაყინი, ბავშვების განსაცვიფრებლად, 20  
კაპიკად გაყიდა. გაიაფებულნაყინიანი ყუთი  
თვალისდასამხამებელში ამოცარიელდა. პი-  
რადობის მოწმობები ვერც აქ აღმოვაჩინეთ.  
„ხაზინი“ მ. ფ. მშვილდაძეთ, — წარმოგ-  
ვიდგინეს თავიანთი უფროსი ხელქვეითებმა.  
ჩვენი სტუმარი წყლის პირას, პირმოტე-  
ხილი ბოთლის გვერდით ჩამომჯდარიყო და  
ზღვაში კენჭებს ისროდა.




ამ ზღვის მეკობრეებზე განაწყენებულე-  
ბა, გადავწყვიტეთ, მეხუთე საუკუნის ეგვიპ-  
ტიკური სიმშვიდით დაგვემოშინებინა  
აფორიაქებული გუნება და მცხეთის ჯვარს  
ვესტუმრეთ. სიძველის ძეგლმა ძეგლი, მა-  
მაპაპური ქართული სუფრა გაგვახსენა.  
მაშინლა მივხვდით, რომ კარგა გვარიანად  
მოგვევიგებოდა. კისრისტეხით დავეშვიტ  
მცხეთის რაიკავშირის რესტორან „საჭამ-  
ნიკოსაკენ“.

ქოთნის ლობიო, მცხეთური ღვეზელი,  
ხაჭაპური, მჭადი, ყველი, მწვანილი და  
„შამპანური“ სწრაფად გაჩნდა ჩვენს მაგი-  
დაზე. ანგარიში მკაცრად ემთხვეოდა მენ-  
იუს... მხოლოდ ზეპირად. ანგარიშის გამო-  
წერას, როგორც ჩანს, უფროსი მებუფეტე  
გ. რ. მაჩაიძე ვერ ასწრებს: სალაროში 532  
მანეთის ნავაჭრიდან მხოლოდ 188 მანეთის  
ანგარიში იყო გამოწერილი. წინაღობის  
(27. V. 1977 წ.) ნავაჭრი თანხა — 1680

მანეთი ჩაუბარებელი ჰქონდათ. (რა მოგახ-  
სენოთ, დილის ნავაჭრი იყო თუ სალამო  
სი?! იმათ სინდისზე იყოს!)

ხარაჩობებში ჩასმულ მცხეთის ჯვარს შო-  
რიდან გავხედეთ, ბუშკინის წყაროთი შუბ-  
ლი გავიგრილეთ და, ახლა, თბილისის  
ზღვის მიკროფილიალს — ლისის ტბას —  
მივადექით. სასულე ორკესტრი ვალსს  
„ამურსკიე ვოლნის“ უკრავდა, მაგრამ მსმე-  
ნელი არავინ ჰყავდა. ესტრადის წინ სკა-  
მები ცარიელი იყო, სამაგიეროდ ორჯონი-  
კიძის რაიონის საზღვების ვაერთიანება  
№ 128-ში (რესტორანში) ერთ სკამზე  
ორი კაცი მოდიოდა. აქ, ამჟამად, თვით-  
მომსახურებაა, თეფშები, დანა-ჩანგალი და  
ჭიქები არ ჰყოფნით, სამაგიეროდ, შამპა-  
ნური გატანით, 4 მანეთისა და 41 კაპიკის  
ნაცვლად, 5 მანეთად იყიდება, შოკოლადი  
თხლით, 1 მანეთისა და სამი კაპიკის ნაც-  
ვლად, — მანეთნახევრად. ეს მებუფეტე  
ვ. კ. წულუკიძის საკუთარი ნიხრია. იქვე,  
გვერდით, სალარო კი დაყრუბულ-დაობე-  
ბულია...



კვლავ ნავთსაყუდიღს მივადექით. ამჯე-  
რად ლისის ტბას შემოვუარეთ საპატრო  
წრე და მოტორიანი კატარლის მძღოლს  
მანეთიანი გადავუხადეთ. წარწერას, სადაც  
ბილეთის ფასი იყო აღნიშნული, სამახსო-  
ვრო სურათი გადავუღეთ.

სტუმარს არაფერი გაუგია, მკითხველმა  
გაგვიგოს!

რეიდის მონაწილენი: შანი სიხარულიძე  
მარიკა გველსიანი  
თამაზ ჯიფიშვილი  
შოველ ცალუღელაშვილი





# ზღაპარი სასიძოზე

იყო გელა, სასიძო, სტუდენტი უსაქმური, ჩხუბით და ხულიგნობით მთელ ქალაქში განთქმული... იყო ქალი ჩიტოლია, გოგო ჰყავდა ალმასი, — ექსტრა-მოდერნ-კეკლუც-სუპერ-როიდ-ლამაზი.


— ჩიტო, ჩიტო, სასიდედრო!  
— რაო, ბატონო გელაო?!  
— შენი გოგო გამოუშვი, თორემ შავ დღეს დაგაყენებთ!  
კინო გადის ახალიო! ჩქარა, ყვავის ბახალიო!  
თუ გოგოს არ გამოუშვებ, კეტს ავიღებ, დანასაცა, ყელს გამოვჭრი შენს შვილსაცა, დედასაცა, მამასაცა!..  
...შეეშინდა ჩიტოს მართლა, ჩამოუშვა შვილი დაბლა...  
— ჩიტო, ჩიტო სიდედროო!  
— რაო, ბატონო გელაო?!  
— „ვოლგა“ მინდა ახალიო, ზედ — ანტენა მაღალიო!  
შავ „ვოლგას“ თუ არ მიყიდით, ბომბს ავიღებ, ლაზერსაცა, შენც მოგკლავ და შენს შვილსაცა, ბაბოსაცა, პაპასაცა!..  
აქ სიდედრის გული მოღბა და უყიდა სიძეს „ვოლგა“.  
— ჩიტო, ჩიტო სიდედროო!  
— რაო, ბატონო გელაო?!  
— ბინა მინდა ახალიო!  
— დაიფიცე მძახალიო!

სიმამრს თუმცა აწყენინა და სიდედრიც აქვითინა, — აქვე, სადღაც ვაკის ბოლოს, მიაშავეს კარგი ბინა!  
— ავეჯი მსურს ახალიო, ნუ გადადებთ სახვალიო!  
თუ „სტენკას“ არ გამომიწერთ, „როჯერსისას“, ბზის ხისასა, — რაკეტებით, ამ ექვსშაბათს, შენც მოგკლავ და შენს შვილსაცა!  
თუმცა ბევრი აღარ ჰქონდათ (ყვავის რაც ჰქონდა, მგელს გაჰქონდა!), — შეუძინეს საწოლები, სავარძლები, ვიტრინები, სკამები და მაგიდები, სერვანტი და შეზღონგები, სარკიანი კარადები, ტრილიაჟი, თაროები, ჭაღები და ტორშურები, ხალიჩები, პანოები, თვითონ სიძეს როიალი, ერთის მეტი, არ აღირსა, მაგიდაზე წამოჭიმეს დიდი ტელევიზორიცა.

— ჩიტო, ჩიტო სიდედროო!  
— რაო, ბატონო გელაო?!  
— ყველაფერი ეს მომწყინდა: შენი გოგო აღარ მინდა!  
— ბოჟე მოი! მამ, რა გინდა?!  
— ცოლი მინდა ახალიო!  
— ახ,მერხავეც! ექსტრა-სვოლოჩ! ვინაა ეს ნახალიო?!  
აქ სიმამრმა მოსდო ყბაში, გააფრინა დერეფანში, გაამსხვრია აივანში, ჩააგორა ძირს, ქუჩაში და, მას შემდეგ, ვერ ნახავდით ვერც „ჟიგულში“, ვერც „ვოლგაში“...  
P. S.

ზღპარ იყო. ზღაპარ იყო... სიძე ციხეს ჩამჯდარიყო, მაგრამ სიძე ამისთანა განა სადმე მართლა იყო? არც თქვენ იცნობთ? არც მე ვიცნობ! არც იქ იყო? არც აქ იყო! ზღაპარია ამ ამბავში?! მე ბოდიში! ბარი-ბარში! დიდი ჭიქა — სასიძოებს! ალავერდი! მშვიდობაში!

ქართლოს კასრბეშ



უსიტყვოდ

## სხვაგვ ნაკლები რითი ხარ?!

(ფანტასტიკური მოთხრობა)

— რას მიირთმევ, შემოგველე, რა უფრო გესიამოვნება, რა ჩაგიკოკლოზინებს პირს, ბებიაშენის გაზრდილი ინდაურის საცივი თუ გარდაბნული ცხერის ბულღამა, ნიალაღარი საქონლის კატლეტი თუ ბალახით გამოწვევი ქათმის ჩახობილი, კატლეტი წალკის კარტოფილის პიურეთი თუ ომბალიანი ტყემლით, ცხელი აჯფსანდალი გიჟყარს, თუ გულიაში, რუსთაველი ფილმ გირჩევნია, ბასტურმა, ბიფშტექსი, ანტრიოტი, ლანგიტი, ბეფსტროგანოვი, სალიანკა, კუბატი, ღორის მწვადი, წიწილა ტაბაკად, თუ ხაშლამა?! რომელს ინებებდი, ძვირფასო, ამ საფირმო და საულუფე კერძებიდან?

არ შეიძლება, ამ სიტყვებმა უფრო არ გამიღიზიანოს ისედაც საკმაოდ კარგი მამა! მეც სასწრაფოდ ვიბან ხელს და აზარტულად ვიწყებ ჭამას. შემდეგ, ტახტზე წამოწოლილი, არხენად ვნებებრობ, გკითხულობ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. ბავშვები სულ თვალეში შემომცქერაინ, სამუშაოდან მოსულ დადლილ მამიკოს რა ესიამოვნებაო.

— ლა კალგი მამიკო ხალ! — მეფერება ორი წლის, მაგრამ ძალიან ჭკვიანი გია.

— ჰო, შვილებო! თქვენი მამიკო ყველაზე კარგია ამ ქვეყანაზე, ღვინო ჭირივით ეჯავრება, პაპიროსს არ ეწევა, ქალები საკუთარ ძმად თვლიან, სამსახურში მოწინავეა, საზოგადოებაში — თავმდაბალი, ოჯახში თაფლი და შაქარი ადნება ენაზე! ბედნიერი ქალი ვარ, შვილებო, ბედნიერი!.. ოჯახში ურთიერთგაგება მთავარი... ფეხს ხომ არ დაითბილავ, გენაცვალე? — სკულში მიძვრება ჟოზეფინა და როცა თანხმობას ვაძლევ, ტაშტით წყალს მოარბენინებს.

— არც ასე ვარგა, ჩემო ძვირფასო, მთლად ოჯახზე გადაყოლა! შენს თავზედაც უნდა იფიქრო, წადი ხანდახან მეგობრებთან, ამხანაგებთან, თანამშრომლებთან დაბადების დღეებზე, ძეობებზე, კაფე-სალამოებზე, გაერთე ცოტა! — ალერსით დნება ჟოზეფინა, — შემნახველ სალაროში რაც მამაჩემისაგან ნაჩუქარი ფული მაქვს, სულ შენ მოგვიმ, ჩაიცივ კარგად, დაიხურე, „ჟიგული“ იყიდე და ატარე ღრო, სხვების ქმრებზე ნაკლები რითი ხარ?!





გადასვლა  
სანაპიროზე

როგორ ვგეგმავ,  
ჭიჭივთ ვგითავ-  
ში სარკვეს  
გააბნევენ?!

გაიბნევა  
საგზაობის  
ქვეყანაში?!

ვითომ,  
ვგზავნი  
სტუმრებს  
საყ-  
რში?!

შენა, ჭიჭი  
როდნა ვა  
ჭიჭი თა  
სანიბნა